ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 13

ქალაქი ქუთაისი 30 ოქტომბერი 2025 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა
რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების
განსაზღვრისა და დამტკიცების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, 28–ე მუხლის მე–2 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე–3 მუხლის მე–3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 23–ე მუხლის მე–6 პუნქტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის დასკვნის საფუძველზე:

მუხლი 1. განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში კომისიის წევრთა რაოდენობა შემდეგნაირად:

1. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში – საკრებულოს 8 წევრი;
2. საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიაში – საკრებულოს 9 წევრი;
3. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში – საკრებულოს 10 წევრი;
5. საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში – საკრებულოს 8 წევრი;
6. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში – საკრებულოს 7 წევრი.

მუხლი 2. დამტკიცდეს პარტია „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოს“ წარდგინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არჩეულ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთაგან საკრებულოში შექმნილი ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში წევრთა წარდგენის პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები (კვოტების რაოდენობა 18 წევრისათვის – 36):

1. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში – 7 წევრის ოდენობით;
2. საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიაში – 7 წევრის ოდენობით;
3. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში – 9 წევრის ოდენობით;
4. საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში – 7 წევრის ოდენობით;
5. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში – 6 წევრის ოდენობით.

საქართველო ქ. ქუთაისის
საკრებულო
მას. № 13
30 11 2025 წ.

მუხლი 3. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში საკრებულოს იმ წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები, რომლებიც გაერთიანებულნი არ არიან საკრებულოს ფრაქციაში (კვოტების რაოდენობა 3 წევრისათვის – 6):

1. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში – 1 წევრის ოდენობით;

2. საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიაში – 2 წევრის ოდენობით;

3. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში – 1 წევრის ოდენობით;

4. საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში – 1 წევრის ოდენობით;

5. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში – 1 წევრის ოდენობით.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის 2025 წლის 30 ოქტომბრის სხდომის ოქმი №2 და დასკვნა „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ“ წინამდებარე განკარგულების პროექტს თან ერთვის)

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ გიორგი ჯანელიძე